ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N2

დაბა ქედა **11 ოქტომბერი, 2023 წელი.**

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 11:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ დავითაძე; შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე"-ს თავმჯდომარე - რეზო ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

11.10.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე"-ს თავმჯდომარის რეზო ბერიძის წერილი (განცხადების ნომერი N:10/95232683-95; განცხადების თარიღი 25.09.2023წელი) ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების შესახებ, რომელიც შესასწავლად გადაეცა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობის და ღვაწლის შესახებ. აღნიშნა რაოდენ ძვირფასი მამულიშვილი იყო და მართლაც რომ იმსახურებს პატივის მიგებას თითოეული ქედელისა და ქართველის მიერ.

მომხსებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2010 წლის 06 ნოემბერს მიიღო დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონომენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ", სადაც არის დაკონკრეტებული აუცილებელი მოთხოვნები მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, კერძოდ ქანდაკების განთავსების თაობაზე მიმართვას უნდა ერთოდეს ქანდაკების ვიზუალური (არქიტექტურულ-დიზაინერული) პროექტი, მიახლოებითი ზომების აღნიშვნით. მიმართვაში აღნიშნული უნდა იყოს ქანდაკების განთავსების მიახლოებითი საფინანსო გაანგარიშება და დაფინანსების წყარო ჩამოთვლილთაგან რომელიმე დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, კომისია განმცხადებელს დაუდგენს ხარვეზის გამოსასწორებლად ოცდღიან (კალენდარული დღე) ვადას. მითითებულ ვადაში დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

ოთარ ხარაძის განმარტებით, წარმოდგენილ წინადადებას, ბიუსტის განთავსების შესახებ, ახლავს შესაბამისი დასაბუთება და ქანდაკების ვიზუალური (არქიტექტურულ-დიზაინერული) პროექტი. მომართვაში აღნიშნულია ქანდაკების განთავსების მიახლოებითი საფინანსო გაანგარიშება, რომელიც შეადგენს 8000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, თუმცა დაფინანსების წყარო დაკონკრეტებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერეს"-ს თავმჯდომარე რეზო ბერიძემ ისაუბრა ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობაზე და ბიუსტის განთავსების აუცილებლობაზე. მისი განმარტებით დარწმუნებულია, რომ ინიცირებული საკითხი ბოლომდე იქნება მიყვანილი და არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ ხარვეზს გამოასწორებს.

საკრებულოს აპარატის უფროსიმა - მუხრან სალაძემ ისაუბრა ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შეტანილია მოქალაქე-თეიმურაზ მახარაძის განცხადება, რომელიც გამოთქვამს მზაობას ბიუსტის ნახევარ ფასად (20000 (ოცდათასასი) ლარი) დამზადებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქედან, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება მოითხოვოს ბიუსტის განთავსება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აუცილებელია

დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული იყოს ბიუსტის განთავსების ღირებულება და დაფინანსების წყარო. არსებულ შემთხვევაში ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერეს“-ს თავმჯდომარის რეზო ბერიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ბიუსტის განთავსება უნდა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, შესაბამისად მიზანშეწონილია საკითხი დადგენილი წესით განსახილველად გაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს, რომლებიც ვალდებულნი არიან საკითხის გადაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შეადგინონ დასკვნა ქანდაკების პროექტის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, ხოლო დასკვნები დადგენილი წესით გადმოეცეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას. ამის შემდეგ საკითხი გაივლის ყველა სამართლებრივ პროცედურებს და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საკრებულოს მიერ.

კომისიის სხვა წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. **მიზანშეწონილად ჩაითვალოს ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების შესახებ წინადადება, ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნის მიღების მიზნით, გაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში